სამშობლო

კვირა,
27 მარტი
წელიწადი II.

ფასი: წლიურად 9 მ., ნახევარი წლით 5 მ., თვიურად 1 მან. ცალკე ნომერი ერთი შაური. დაბატებით 7 მ. წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილ-ნაწილად გადაიხადონ. ხელის მოწერის დროს 4 მ., დანარჩენი კიდევ ნაწილნაწილად. განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ 30 კაპ., უკან 20 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა თითოჯერ ნაშუადღევის 2 საათ. ღირს 3 მ. 2 საათის შემდეგ 4 მან.

№ 320 ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი № 320

ტელეფონი № 76.

სამშობლო დედის ძუძუა, არ გაიცვლების სხვაზედა,
ორივ ტკბილია ძმობილო მირჩევნის ორსავ თვალზედა,
როგორც უფალი, სამშობლოც ერთია ქვეყანაზედა.

ტელეფონი № 76.

გრძელდება ხელის მოწერა 1916 წლის

ყოველდღიურ საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთ

წელიწადი მეორე

„სამშობლო“-ზე

წელიწადი მეორე

გაზეთი გამოვა ყოველკვირეული სურათებიანი დამატებით.

წლიურად გაზეთი ეღირება 9 მ., ნახევარი წლით 5 მ., სამი თვით 2 და 40 კ., თვიურად 80 კ., ცალკე ნუმერი 5 კ. სოფ. სამკითხ. დაეთმობათ 6 მ., მასწავლებლებს 7 მ. წელიწ.

რედაქტორი ი. თ. ცინცაძე. გამომცემელი ამხანაგობა „სამშობლო“.

კეტევანე ისაის ასული, სარდიონ, ივლიანე და ნიკო დიანოსის ძენი და ტარასი სარდიონის ძე აბზიანიძენი, გულითად მადლობას უძღვნიან იმ პირთ, რომელთაც პირადი დასწრებით, დეპეშით თუ წერილით ანუგეშეს ისინი მათთვის დაუვიწყარის

გრიგოლ აბზიანიძის

დაკარგვის გამო.

112 1—1

დავკარგე

ჯმელსა და ქუთაისის შუა ექვსი ვექსილი 2000 მანეთისა და ერთი რალთ ბარათი 200 მანეთისა. მპოვნელი ამ საბუთებით ვერ ისარგებლებს, ამიტომ ვსთხოვ წარმოადგინოს „სამშობლო“-ს რედაქციაში, რისთვისაც მიიღებს ჯილდოთ 200 მანეთს.

-3—106 ნიკოლოზ ვლადიმერის ძე თ-დი **იაშვილი.**

ს.|ს. ი. გოკიელის შვილებს ქუთაისში

ამით აუწყებს პატივცემულ მეაბრეშუმეებს, რომ

მივიღეთ ცნობილი აბრეშუმის თესლი

ხ. ხრისტოდულიდის.

მისამართი წერილებისთვის: ქუთაისი, სავ. სახ. ი. გოკიელის შ-ბის.

დეპეშისთვის: ქუთაისი, გოკიელებს. 60

აბრეშუმის თესლი.

ესე შემოზიდულია საფრანგეთიდან და მიღებული თბილისის საბრეშუმო სადგურში. თესლი ყვითელი აბრეშუმისაა, უკეთესი ხარისხის, ესე ცნობილი კავკასიაში და განგებ გამოგზავნილი საქართველოში გასავრცელებლათ. თესლით მოვაჭრეთ ვსთხოვ: თბილისში მომმართონ პირდაპირ მე (სასტუმრო ორიანტი) და თბილისის გარეთ ჩემს წარმომადგენლებს, ქუთაისში ფილიპე ნიკოლოზის ძე ჭელიძეს, აბაშაში იოსებ გეგენავას და ბათუმში ამბაკო ნადარეიშვილს.

საფრანგეთის მეაბრეშუმეთა წარმომადგენელი, გამოგზავნილი საფრანგეთის მართებლობის მიერ **ვადიმ კოსირი.**

92 თ.

ბეითალი. **პ. ვ. ნეფრონოვი** ღებულობს მოსარჩენათ ავადმყოფ ცხოველებს დილის 9—10 საათამდი და საღამოს 3—6 საათ. მისამართი: გოსპიტლის ქუჩა, სახლი ალახვერდიევისა, სამხედრო გოსპიტლის პირდაპირ. თ.

ბებია **მ. მ. კოხრეიძე** უვლის ყვავილს, უკეთებს ნემსებს, ეხმარება მშობიარეთ და აძლევს ავათმყოფთ რჩევა-დარიგებას ყოველ დროს.

ალექსანდროვის ქუჩა, თევდორაძის სახლი, ფილიპოვის მაღაზიის პირდაპირ.

ექიმი **ი. ჩარექოვი** ქალაქ. საავათმყოფოს ორდინატორი. განაახლა კანის, ვენერიულ და სიფილისიანი ავათმყოფების მიღება ახალ ბინაზე, დილით, 12 — საათ. საღამ. 6—8 საათ. მისამართი: ლევაშოვის ქუჩა, ალიხანოვის სახლში. 1 თ.

ექიმი გაბრიელ იოსების ძე **გოკიელის** ელექტრონისა და სინათლის კაბინეტი.

შინაგანი ნევრებისა და ვენერიულ ავათმყოფების მიღება დილის 9—12 საათ. საღ. 6—8 საათ, ალექსანდრეს ქ. საკუთარი სახლი. 2 თ.

ელექტრო **„რადიუმი“** თეატრი

პარასკევიდან, 25 მარტიდან ნაჩვენები იქნება

დასჭკნა ბაღში ხრიზანტემა.

ი. ი. მოზჟუხინის მონაწილეობით.

ელექტრო **„ამპირი“** თეატრი

პარასკევიდან, 25 მარტიდან ნაჩვენები იქნება

ნახევრად ქალწულნი.

კინო რომანი 4 ნაწილად, მაღალი წრეთა ცხოვრებიდან. ცნობილ ფრანგ მწერლის მარსელის რომანიდან. ლიდა მურომსკი-ს მონაწილეობით.

ანონსი: ელექტრო-თეატრ რადიუმსა და ამპირში, 30 და 31 მარტს და 1 აპრილს, მხოლოდ სამი დღით, ორივე თეატრში ნაჩვენები იქნება

იერიში არზრუმის და დაცემა.

ორ დიდ განყოფილებით. გადაღებულია ბუნებიდან სკობელევის კომიტეტისგან დაწვრილებით აფიშებში.

ბურახი (კვასი) „ესპერანტო“

ადუღებული წყლით, პურით და ხილეულობით მომზადებული, ანალიზ გაკეთებული, მარგებელი, სასიამოვნო სასმელი, იყიდება თფილისის ქუჩაზე ვლადიმერ წერეთლის სარდაფში. ერთი ლიმონათის და ნარინჯის ბოთ. 7 კ., ბორჯომის ნახევარი ბოთლი 8 კ., ლუდის ბოთლი 10 კ., შამპანიურის ბოთლი 12 კ., ბორჯომის ბოთლი 15 კაპ.,

ვინც ამ ბოთლებს ადგილობრივ გახსნევინებს და მიირთმევს, ან თავის ბინაზე მიატანინებს ყველა ბოთლის ფასზე თითო კაპიკი მოემატება ფასი. კვასი შეინახეთ ცივათ, გაძლებს ათ დღეს და მეტსაც.

თუ კვასი ტკბილი და უგაზოა—შეაჩერეთ ერთ დღეს და დამაჟრდება. ბურახი (კვასი) ერთნაირი კეთდება თუ ფეარგისობით განსხვავება ნახოთ, ჩვენ მოსთხოვეთ მომტანს პასუხი, რადგან იარლიკიან ბოთლებში თურმე სხვებიც ამზადებენ ნამალევათ თავის ბურახი (კვასს).

პატივისცემით კვასის მწარმოებელთა ამხანაგობა.

12—7

დღეს, 27 მარტს, დღით 12 საათზე ქალაქის თეატრში დანიშნულია ქუთაისის **სახალხო უნივერსიტეტის** საზოგადოების წევრთა

კრება.

1. 1913—1914 წლ. ანგარიში სახალხო უნივერსიტეტის მოქმედებისა.
2. გამგეობის და სარევიზიო კომისიის წევრთა არჩევა.
3. რწმუნებულთა არჩევა კულტურულ საზოგადოებათა კავშირის კრებაზე დასასწრებლად

3—1 98

კრებაზე დასწრების უფლება აქვთ იმ წევრებს, რომელთაც გადაიხადეს 1913, 1914 და 1915 წლ საწევრო ფული

აგრეთვე უფლება ეძლევა იმათაც, ვინც ახლად ჩაეწერება, 2-1

დაიბეჭდა და გასაყიდად დაურიგდა **თ. მთავრიშვილის** და ამხ. მიერ გამოცემული ს. გ. გორგაძის თხზულება

ქართული მართლწერა

ფასი 40 კაპ. წიგნი იყიდება ქუთაისში—გამომცემელის წიგნის მაღაზიაში, თბილისში, ქართველთა შორის წერა-კითხვის საზ. წიგნის მაღაზიასა და ს. მერკვილაძესთან, ხონში მინა ჰვეჰანიძესთან.

81 10—8

ექიმი **მულინი.** ყელის, ცხვირის და ყურების ღებულობს ავათმყოფებს ნაშუადღევის 2—3 საათამდი, საღამოს 6—8 საათამდი, კვირას გარდა.

თბილისის ქუჩა, № 70, სახლი ქაიხოსრო ჯაფარიძისა.

10

მასაჟით სამკურნალო **კაბინეტი**

მარ. ბალანჩივაძისა.

ვკურნავ მასაჟით, საექიმო ვარჯიშობით. ვსპობ სახეზე: მუწუკებს, ნაოჭებს, პორფილს მეტ სიწითლეს, ნაყვავილებს და ყოველგვარ სახის ავათმყოფობას. ამასთან ვუცრი ყვავილსაც და აგრეთვე **ნამდვილათ ვარჩენ** თავზე კანის **ქერცლს,** ანუ ქეტერს ახალი გამოსული **წამლის საშვალებით.** ქეტერის მოსპობის შემდეგ თმა სრულიად აღარ სცვივდება და იღებს სასიამოვნო ფერსა და სირბილეს. ავათმყოფების მიღება დილის 9—2-დე და საღამოს 4—6 საათამდე. რჩევა და დარიგება 10 შაური. მისამართი: **გენერლის ქუჩა,** [illegible] სახლი. თ 3

ექიმი **ა. მ. ასათიანი.** განაახლა ავათმყოფების მიღება (ქალურ) ვენერიულ და შინაგან ავათმყოფების ყოველ დღე დილის 11—2 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდი, პუშკინისა და ბალახვანის ქ. კუთხე, სახლი № 2.

11 თ.

ექიმი **შალვა კოკოჩაშვილი** იღებს ბავშთა და შინაგან სნეულებიან ავათმყოფებს ნაშუადღევის 1—3 საათ. და საღამოს 6—8 საათ. თბილისის ქუჩა, ნიჟარაძის № 46, ტელეფონი № 87.

14 თ.

იყიდება ბალახვანის შესახვევში, ალექსანდროვის ხეტყის საწყობის გვერდით სამოსახლო ადგილები.

მიმართეთ ადვოკატის ქუჩაზე, აკოფოვის სახლში №3

113 1—თვით.

უმაღლესი მთავარ-სარდლის შტაბისაგან.

დასავლეთის ასპარეზი.

25 მარტი რიგისა და ფრიდრიხშტადტის ფრონტზე არტილერიის გაცხოველებული სროლაა. მტრის ავტომობილი, რომელიც სომერგოფის სამხრეთ დასავლეთით ჩქარ მსროლელ ზარბაზნებიდან გვიშენდა, ჩვენ არტილერიის ცეცხლით უკუ ვაგდეთ. დვინის პოზიციებზე სროლაა. ბრძოლის ველზე წყალდიდობა შესწყდა ტბა ნაროჩის სამხრეთ-დასავლეთით მთელ დღეს ბრძოლა გრძელდებოდა. დერბლინენიკის რაიონში ჩვენ მტერს ერთი პოზიცია წავართვით და ტყვეთ წამოვიყვანეთ ერთი ოფიცერი და 777 ჯარისკაცი უკან დახევის დროს გერმანელები სულ შემხუთავ ბოლს ხმარობდენ ტბა სოსნას რაიონში, პინსკიდან გერმანელები იერიშით წამოვიდენ, მაგრამ უკუ ვაგდეთ. ჩარტორისკის სამხრეთით გერმანელების ფრინავები ყუმბარებს ჰყრიდენ. ზემო სტრიპის რაიონში ჩვენ მარჯვეთ დავუშინეთ მტრის პოზიციებს. მტერი შეეცადა თავის ბატარეები სამოქმედოთ გამოეტანა, მაგრამ ხელი შეეუშალეთ ბაიანის სამხრეთით მტერმა ერთი ბეგობი ააფეთქა.

კავკასიის ასპარეზი.

ზღვის რაიონში ჩვენმა ჯარმა უეცარი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მსოფლიო ომი.

(დღიური).

მდგომარეობა ჯერ კიდევ არ შეცვლილა.

კავკასიისა და ოსმალეთ სპარსეთის ფრონტზე რუსეთის ჯარი ჯერ ისევ წინ მიდის. შავი ზღვის პირის რაიონში მდ. კარადერის მარჯვენა ნაპირზე მომხდარს მკაცრ შეტაკებაში რუსეთის ჯარმა გაიმარჯვა და ოსმალნი მდ. გაღმა გარეკა. ზემო ჭოროხის რაიონშიაც რუსეთის ჯარი იმარჯვებს და წინ მიდის.

რუსეთისა და ავსტრია-გერმანიის ასპარეზზე მდგომარეობა ჯერ-ჯერობით არ შეცვლილა, თუმცა დღეს დეპეშა უკვე აღნიშნავს, რომ დვინაში ყინულ სვლა დასრულდა და წყალდიდობამაც იკლოვო. რიგისა და დვინსკის რაიონში გერმანელები ისევ არტილერიის ამოქმედებენ. აღსანიშნავია, რომ ამ წყალდიდობის დროს გერმანელები სულ ახალ-ახალ ხერხსა და საშუალებას მიმართავენ რუსეთის ჯარის საწინააღმდეგოთ. მაგალითად, გუშინ რომერგოფის სამხრეთ-დასავლეთით სამხედრო ავტომობილი გამოუშვეს, რომელიც რუსის რაზმს მიუახლოვდა და მსწრაფლ მსროლელი იარაღით იერიში მიიტანა, მაგრამ რუსეთის ჯარმა არტილერიის ცეცხლის საშუალებით იძულებული გახადა უკანვე გაბრუნებულიყო. მეორე ადგილას, პინსკის სამხრეთით გერმანელები ნავებში ჩასხდენ შეჭურვილნი და ახლო-მახლო ჭაობების დაზვერა-დათვალიერებას ისე აპირებდენ, მაგრამ რუსეთის ჯარმა აქაც გაუგო და მალე უკანვე გააბრუნა. რუსეთის ჯარმაც გამოიჩინა ერთ ალაგას ინიციატივა და ს. ბლიზნიკის მიდამოებში გერმანელების პოზიციები დაიკავა. იერიშის შესაჩერებლათ გერმანელებმა მხრჩოლავი გაზი იხმარეს. სამხრეთის ფრონტსა და გალიციაში საყურადღებო არაფერი მომხდარა.

საფრანგეთ-ბელგიისა და გერმანიის ფრონტზე გერმანელები საკმაო ენერგიას იჩენდენ და ზოგან თავდასხმის და ზოგანაც არტილერიის ცეცხლს აძლიერებდენ. ინგლისელების გამაგრებულ გვირაბებზე იერიშები მიჰქონდათ, განსაკუთრებით სენტელუასთან, ლიევენთან და ლანსკთან, მაგრამ გვირაბებში ისინი დიდხანს ვერ გამაგრდენ და იძულებული გახდენ იქიდან ამოსულიყვნენ.

ბრძოლა ვერდენთან ახალ ფაზისში გადადის: ან ფრანგების ხაზის გარღვევა, რადაც უნდა დაუჯდეთ, ან ოპერაციის შეწყვეტა. ჯერჯერობით გერმანელები პირველს ცდილობენ: უნდათ უკანასკნელი ძალ-ღონე მოიკრიბონ და ვერდენი, რაც უნდა გახდეს, მაინც უნდა აიღონ. მაგრამ აქ ძალაუნებურათ იპრის პოზიციების წინ გერმანელების შეჩერება გვაგონდება და ვამბობთ, რომ, თუ გერმანელებმა დაატყვეს, რომ აქ უძლეველ ძალასთან აქვთ საქმე, ისინი მაშინვე შეჩერდებიან და თავის მახვილს სხვა მხრით მიმართავენ; და თუ დღეს ვერდენთან ისინი არ ცხრებიან და პირიქით გასკეცებული ენერგიით იბრძვიან, ეს იმას ამტკიცებს რომ ჯერ-ჯერობით მათ გამარჯვების დიდი იმედები აქვთ და ფრანგების პოზიციების უძლეველობაზე სულაც არ ფიქრობენ. ეს კია, რომ უკანასკნელ გაალმასებულ შეტაკებაში ფრანგებმა საოცარი წინააღმდეგობა გაუწიეს, რის გამოც წინ ვერ წავიდენ, პირიქით ფრანგებმა ნახევარი ვერსის სიშორეზე გერმანელების გამაგრებული გვირაბები ვანგლეს: აქ ქვესკნელში ფრანგ-გერმანელთა ხელჩართული ომი გაიმართა, საიდანაც, თუ სააგენტოს დეპეშას დავუჯერებთ, გამარჯვებული ფრანგები გამოვიდენ. სხვა ფრონტებისა და ზღვაზე საყურადღებო არაფერი მომხდარა.

იერიშით მდინარე კარდერის ნაპირიდან მტერი განდევნა და მერე მოსპო. ზემო ჭოროხის რაიონში, მიუხედავად ცუდისა და აუტანელი ამინდებისა, ჩვენი ჯარი წინ იწევს.

— —

დანარჩენი დეპეშები იხილე მე-4-მე გვერდზე

ომის ამბები.

(ჟურნალ-გაზეთებიდან)

გენერალი მაკენზენი ტრაპიზონში.

პეტროგრადიდან იუწყებიან: აქ შეიტყვეს, რომ გენერალი მაკენზენი კავკასიის ფრონტზე უკვე გაემგზავრაო. მისი მიზანია ტრაპიზონი დაიცვას.

ახალი მთავარ სარდალი.

გენერალ ივანოვის ნაცვლათ, რომელიც ხელმწიფე იმპერატორმა თავისი უდიდებულესობის პიროვნების მცველათ გაიწვია, რუსეთის სამხრეთ-დასავლეთის ფრონტზე მთავარსარდლათ დაინიშნა გენერალი ბრუსილოვი.

მდგომარეობა ვერდენთან.

ერთი კოპენჰაგენელი კორესპონდენტი იტყობინება, რომ გერმანელთ გადაწყვეტილი აქვთ ვერდენის ასაღებათ მთელი თავისი ძალ-ღონე ხელახლავ მოიკრიბონ და ისე მივიდენ იერიშით მასზეო, ისინი დღემდე ისეთ რისკსაც არ ერიდებოდენ ამ მიზნის მისაღწევათ, როგორც რუსეთის შუა გულ ფრონტიდან ჯარების გდაყვანა იყო, თუმცა წინათაც ყოველთვის სიფრთხილითა და ანგარიშით მოქმედებდენ; ახლა კი არავითარი საფრთხის წინაშე არ ჩერდებიან და ყველაფერზე ხელაღებით იბრძვიანო.

ზღვაზე.

სტოკჰოლმიდან იუწყებიან, რომ კატეგატში საზღვაო შეტაკება მოხდა. ზუნდში ერთი დიდი გერმანული კონტრნაღმოსანი ნახეს, რომელიც, ეტყობოდა, მტრის ყუმბარებს ძალზე დაეზიანებია. მეორე ალაგას მეთევზეები ერთ კრეისერს შეხვდენ, რომელიც გვერდზე გადახრილი მიცურავდა; ეტყობოდა ძალზე დაზიანებულ იყო: მთელი გემი კვამლის ღრუბლებში იყო გახვეული. ყველა ეს სადღაც ზუნდის ახლო მომხდარ საზღვაო ბრძოლის გადახდას მოწმობს.

მდგომარეობა რუსეთის ფრონტზე

„რუსკი ინვალიდი" სწერს: რუსეთის ფრონტზე ჯერ ისევ წყალდიდობაა; ეტყობათ, ამიტომ გერმანელები ცდილობენ ამ ჟამათ მეტი ყურადღება საფრანგეთ ბელგიის ფრონტს მიაქციონ და მთელი თავისი სიძლიერით იქით მიაწყვენ ჰმიტომ შესაძლებელია ამ ხანათ სწორეთ იქ დაიწყონ ძლიერი გადამწყვეტი იერიშების მიტანა, მაგრამ, რა თქმა უნდა, ეს დიდი ხნით არ გაგრძელდება, ვინაიდან, გაივლის თუ არა წყალდიდობა, რუსეთის ჯარი მაშინვე თავისი შეტევით მოკავშირეებს ხელს შეუწყობს და გერმანელებიც იძულებული გახდებიან ყურადღება ისევ რუსეთის ფრონტს მიაპყრან. გერმანელები საქმეს ამ თვალით უყურებენ და კიდეც ცდილობენ, რომ რუსების ყურადღება რუსეთის ფრონტის ფრთებს მოაშორონ და სხვა მიმართულება მისცენ ყოველ შემთხვევაში გერმანელები რიგასთან ამ ჟამათაც დიდ ენერგიას იჩენენ, განსაკუთრებით იკსკულის წინააღმდეგ. მათ ბარანოვიჩის მიდამოებიც აქტიურ მოქმედების ბაზათ გადააქციეს. რაც შეეხება სამხრეთ-დასავლეთის ფრონტს, აქ, როგორც ეტყობათ, ავსტრიელები ბრძოლის უკან რაღაც ნაირ მზადებაში არიან რაც ვერდენთან გერმანელების შეჩერებასთან არის დაკავშირებული. გაზაფხულის უამინდობა და გზების გაფუჭებაც იძულებულს ხდის ავსტრიელებს, რომ ჯარების ურთიერთ შორის კავშირის გაბმაზე იზრუნონ მათ გალიციასა და ბუკოვინაში ხანგრძლივ ტყუილა დგომით ისარგებლეს და ამ მხარეში, სადაც ცალფა რკინის გზები წინათაც იყო ახლა ათასი ვერსის სიგძეზე ახალი რკინის გზა გაიყვანეს. სადაც ჯარების გადასაყვანათ სჭირდებოდათ გზები ყველგან ორფათ გააკეთეს: არ მოერიდენ ხარჯს და დატყვევებულ რუს ჯარის კაცების შრომით უხვათ ისარგებლეს

საჭირო ცნობა.

როტერდამიდან „პოლიტიკენს" ატყობინებენ, რომ გერმანელები ფლანდრიაში ჯარების გადაყვანას განაგრძობენ ჯარებს მძიმე არტილერიაც თან მიაქვთ. ამის შესახებ აქ იმ აზრის არიან, რომ გერმანელებს ბელგიის ფრონტზე შეტევა კი არ სურთ არამედ მოკავშირეების დასახვედრათ ემზადებიან.

ჰოლანდიის სამხედრო მზადება

გაზეთი „ვეჩერნეე ვრემია" აღნიშნავს, რომ გერმანული ცნობები, რომელიც ჰოლანდიის სამხედრო მზადებას შეეხება, გაზვიადებულათ უნდა ჩაითვალოს. ეს მხოლოდ ნეიტრალურ ქვეყნებში გერმანიის სამხედრო აგენტების პროპაგანდა-აგიტაციის გამოხატავსო.

ქრონიკა

რუსეთი.

შუამდგომლობის შედეგი

მკითხველმა იცის, რომ სამხედრო-სამრეწველო კომიტეტების ცენტრალურმა ბიურომ გადასწყვიტა იშუამდგომლოს მთავრობის წინაშე, რათა მუშათა ჯგუფებს ნება მიეცესთ, რომ მომავალ მუშათა საერთო ყრილობის მოსაწყობად თავიანთ ამრჩევლებთან მჭიდრო კავშირი დაიკავონ. ამის საპასუხოთ ახლა მოსკოვის კომიტეტის მუშათა ჯგუფის თავჯდომარისგან ვტყობილობთ („რუსკია ვედომოსტში" მოთავსებულ ბარათიდან) შემდეგს: „კომიტეტის პრეზიდიუმს გამოუცხადეს, რომ სამხედრო-სამრეწველო კომიტეტი დათხოვნილ იქნება, თუ მუშათა ჯგუფი შეეცდება და მოსკოვის მუშებთან ერთად მუშათა ყრილობის მოსაწყობად რაიმე პრაქტიკულ ნაბიჯს გადადგამსო. სწორეთ რომ შესაფერი გაფრთხილებაა.

პურის ფქვილი აღარ იქნება.

პეტროგრადიდან დეპეშით იტყობინებიან, რომ მიწადმოქმედების სამინისტროს შემაშფოთებელი ცნობები მოუვიდა. იტყობინებიან: მალე პურის ფქვილი ბაზარზე სულ აღარ იქნებაო, რადგან ნიჟეგოროდის, სარატოვის და ბორისოგლებსკის წისქვილებს ველარ ამუშავებენ. წისქვილების დადგომის მიზეზების შესახებ კი არაფერს იუწყებიან. როგორც ვიცით ზემოხსენებული რაიონები მთელ რუსეთში პურის ფქვილის დამამზადებელ მთავარ რაიონებათ ითვლება და ამიტომ აქედან დაწყებული კრიზისი მთელ იმპერიას მოედება

სახელმწ. სათათბირო.

25 მარტის სხდომა.

თავმჯდომარე **როძიანკო** ლაპარაკობს რუსეთის სასოფლო მეურნეობის შესახებ და აღნიშნავს მომავალ კვირაში განსაკუთრებული თათბირის მოწვევის საჭიროებას.

დეპუტატები ერთხმად აღნიშნ [illegible] ურნეობისათვის მეტი ყურადღების მ [illegible] ვის აუცილებლობას და მოითხ [illegible] მეურნეო საგრონომო [illegible] გამრავლებას, რომ [illegible] მცხოვრებთ, არა მარტო თეორიული ც დნა, არამედ პრაქტიკულიც.

გრაფი კაპნისტი აცხადებს, ის მანქ ნები, რომელიც ამერიკისა და სხვადას სახელმწიფოში რუსეთის მეურნეობის ს ჭიროებისათვის შეუკვეთა მიწადმოქ დების სამინისტრომ, სამხედრო, სამინ მოქმედო და სხვა სამინისტროებმა, მოვ ლენი არიან ხსენებულ მანქანების მოტან დააჩქარონო. შემდეგ გადადიან საბიუჯ ტო კომისიის საკითხზე. ის ადგილებ რომელიც ამ ხანად მტრის ხელშია, გ თავისუფლების შემდეგ, სახელმწიფოს ს ბიუჯეტო კომისიამ თავს უნდა იდვა ყოველგვარი დახმარება როგორც თესლ მოწოდებით, ისე სხვა დარგებშიაც.

ტრეგუბოვი შეეხო გადასახლების საკით და მისი უკეთ მოწესრიგება მოითხოვ რადგან ამ ომის დროს მოსალოდნელი დიდი გადასახლებითი მოძრაობაო. შე დეგ ლაპარაკობენ აზიის რკინის გზებ მოწყობაზე. ეს საკითხები მიიღეს.

წამოყენებულია აგრეთვე საკითხი, რო იმპერიის იმ ადგილებში, სადაც სამუშ საქონლების რიცხვი შემცირდა, ზომებ უნდა იქნას მიღებული ამის წინააღმდე გო. ზომების მიღება უნდა დაეკისროს სა დასხვა შინაურ ცხოველების მომშენებე ფირმებს.

შემდეგ იხილვენ სამხედრო და საზღვა ვო სამინისტროს ხარჯთ-აღრიცხვას.

სტუდენტთა საყურადღებოთ.

1895 წ. დაბადებული ახალგაზრდა, რომელნიც ამ ჟამათ უმაღლეს სასწავლებელში სწავლობენ, (პირველ და მეორე კურსისა) და რომელნიც უმაღლესის ბრძანებით უნდა შესამოწმებლად გამოცხადებულიიყვნენ 1916 წ. 31 იანვარს, ამ თი პირები, თუ, ამ ჟამად ქუთაისში მის მახლობლად იმყოფებიან, ვალდებულნი არიან შესამოწმებლათ დაუყონებლივ გამოცხადდენ ქუთაისის სამაზრო საბჭოს სამმართველოში, დილის ცხრა საათიდან. სტუდენტებს თან უნდა ჰქონდესთ მოწმობა უნივერსიტეტში სწავლის. და იმ კურსისა, რომელზეც იმყოფებოდენ.

ახალი ამბავი.

ქუთაისი.

შიოს საიუბილეო დღესასწაული

დღესასწაულს დიდძალი საზოგადოება დაესწრო თეატრის პარტერში და გალერეაზე ტევა აღარ იყო, ბევრი გულდაწყვეტილი, უადგილობისა გამო, უკან გაბრუნდა. დამსწრე საზოგადოებაზე უკვე-

სოციალური უტოპიები.

(წერილი მეთორმეტე).

(ფედერაცია და ავტონომია).

ქართული პოლიტიკური აზროვნება არა ნაკლებ რყეულია და მოუმწიფებელი, ვიდრე ქართული ეკონომიური აზროვნება.

საკმაოა გავიხსენოთ, რომ ჩვენი სოციალდემოკრატია იმდენად უფრთხის ავტონომიას, რომ დღემდისაც კი ვერ გაუბედავს უწოდოს თავს „ქართველი სოციალ დემოკრატიული პარტია", მისი ბელადები დღესაც კი უარჰყოფენ საქართველოს ავტონომიასა და ცნობილი „ანცრუ სტატისტიკისა და შემცდარი ანგარიშის შემწეობით ცდილობს დაამტკიცოს, საქართველო, როგორც მთლიანი ეროვნული ერთეული, აღარ არისო.

დიაღ! დამახასიათებელია, რომ ეს საქართველოს უარმყოფელი სოციალ-დემოკრატიის ბელადად ითვლება!

ამგვარი უარყოფა თავის თავისა სამაგალითოა მსოფლიოს ისტორიაში და უეჭველია. ეროვნულ გადაგვარებას მოასწავებს.

სოციალ-დემოკრატიის ამ უარყოფითს პოლიტიკურ მიმართულებას წინაალუდგა ეროვნული მიმართულება „ივერია", „ცნობის ფურცელი" და შემდეგ „საქართველო", რომელიც არჩილ ჯორჯაძის რედაქტორობით 1903 წ. პარიზში გამოდიოდა.

საზოგადოება მაშინ ორ ბანაკად გაიყო. ერთი მხრით იდგა სოციალ-დემოკრატია, რომელიც შინაურს კლასიურ ბრძოლას აწარმოებდა, მეორე მხრით კი დანარჩენი საზოგადოება, რომელიც უპირველესად თავის ეროვნულ უფლებას იცავდა.

ასე იყო 1905 წლამდის. მაგრამ უკვე 1904 წელს არჩილ ჯორჯაძემ და მისმა მეგობრებმა ფერი იცვალეს და შექმნეს სოციალისტ ფედერალისტური დასი, რომელმაც ეროვნული პრინციპი და სოციალიზმი ერთად შეაზავა.

მოძრაობის დროს ყველა, ვინც კი ქართველთა ეროვნულ უფლებას აღიარებდა, მიეკედლა ფედერალისტებს, რომელნიც ერთადერთს აქტიურს მებრძოლ ეროვნულ-პოლიტიკურ დასს წარმოადგენდენ.

მაგრამ დამარცხდა დიდი მოძრაობა, რომელმაც საშინელ რეაქციას დაუთმო ადგილი. დადგა ჟამი ძველ რწმენათა და ღირებულებათა გადასინჯვისა და გადაფასებისა. და ქართულს პოლიტიკურსა და ეკონომიურ აზროვნებაშიაც შეაშუქა კრიტიკის სხივმა.

დაიბადა ეროვნულ დემოკრატიული მიმართულება, რომელმაც თავს იდვა ქართული აზროვნების ყოველისავე უტოპიურისა და სქოლასტიურისაგან განწმენდა და განთავისუფლება. კლასთა ბრძოლის საკითხი, ფედერაციის უპირობო, აბსოლუტურ პრინციპად აღსარება, სოციალიზმი, აგრარიული უტოპია. პოლიტიკური იაკობიზმი, არაეროვნული საპარლამენტო ტაქტიკა—ყველაფერი მსხვრევისა და ნგრევის პროცესშია ულმობელი კრიტიკის მახვილის ზემოქმედებისაგან

გვეუბნებიან, ჩამოყალიბებული პროგრამა არა გაქვსთო. აი ჩვენი პასუხი. ვაი იმ პარტიას, რომელსაც მარტო ჩამოყალიბებული პროგრამა შერჩენია, როგორც წარსული პოლიტიკურ-ეკონომიური აზროვნების გაქვავებული ჩონჩხი, კრიტიკის უნარი კი სრულიად აღარ მოეპოვება. და მხოლოდ ის პარტია არის ცოცხალი და შემოქმედი, რომლის პროგრამა შემოქმედებითს პროცესშია

სცდებით, ბატონებო! ჩვენცა გვაქვს პროგრამა, თქვენი პროგრამის ნანგრევებზე აშენებული. ეს თქვენ კარგად იცით და ჩვენს უპროგრამობას მხოლოდ მიტომ სჩივით, რომ ჩვენი პროგრამა შიშსა გგვრისთ!

შევეხოთ ახლა ჩვენი წერილის საგანს.

რა არის პოლიტიკური ფედერაცია? ეს—სახელმწიფოს ერთგვარი ფორმაა, რომელიც, შეიძლება ითქვას, წარმოადგენს შეკავშირებულ სახელმწიფოს და არა სახელმწიფოთა თავისუფალ კავშირს.

მაგალითად, გერმანიაში საერთო საკანონმდებლო დაწესებულებათ ექვემდებარება სამხედრო საჭიროებათა დაკმაყოფილების გარდა კიდევ მუშათა საკითხი, ბეჭდვითი სიტყვა, კრების თავისუფლების საკითხი, სისხლისა და სამოქალაქო სამართალი, სავაჭრო კანონმდებლობა და სხ. და თვითეულ სახელმწიფოს მხოლოდ ლა ადმინისტრაციული ავტონომია აქვს შერჩენილი.

თითქმის იმავე ადმინისტრაციულ ავტონომიამდის ჩამოქვეითდა შვეიცარიის ფედერატიული რესპუბლიკის თვითეული კანტონის ავტონომიური დამოუკიდებლობა.

შედარებით უფრო დამოუკიდებელია ჩრდილო-ამერიკის დიდი ფედერატიული რესპუბლიკის თვითეული შტატის კანონმდებლობა. ამგვარივე ხასიათი აქვს ავსტრალიის ფედერაციასაც.

მაგრამ ჩრდილო ამერიკის შეერთებულ შტატებშიაც ჩანს მიდრეკილება ცენტრალიზაციისადმი.

ეს საზოგადო მოვლენაა: ყოველგვარ სახელმწიფოს აქვს მიდრეკილება ცენტრალიზაციისადმი. და, რაც უნდა დეცენტრალისტურ-ფედერალისტური იყოს სახელმწიფოებრივი ფორმა, თვითეული ავტონომიური ერთეულის დამოუკიდებლობა—მაინც შეზღუდულია.

ქართველებმა უკიდურესობაში ყველას გადავაჭარბეთ და ამ შემთხვევაშიაც, რა საკვირველია, წარმოუდგენელი უკიდურესობა აღვიარეთ პრინციპად.

თუ ჩვენს სოციალდემოკრატებს კაუცკისებურად ერთს ცენტრალისტურ რესპუბლიკად უნდათ გადააქციონ მთელი მსოფლიო, მაგიერად ჩვენს ფედერალისტებს უნდათ, ენატრებათ, რომ ჯერ მთელი ევროპა და შემდეგ, რასაკვირველია, მთელი მსოფლიო—ერთს ფედერატიულ, საკავშირო სახელმწიფოდ გარდიქმნას.

და ეს ორი მიზანი—ერთისა და იმავე წყაროდან გამომდინარეობს ეს პრინციპი—სახელმწიფოებრიობაა, სახელმწიფოებრივი ცენტრალიზაციაა და მაშასადამე დამოუკიდებელ, სეპარატიულ სახელმწიფოთა უარყოფაა.

ერთი სიტყვით უნდა წავართვათ დამოუკიდებლობა ჯერ ინგლისს, საფრანგეთს, გერმანიას და რუსეთს და შემდეგ აზიისა და ამერიკის სხვა სახელმწიფოებს! და მთელს ქვეყანას ერთი ცენტრალისტური საკანონმდებლო ორგანო უნდა განაგებდეს

მაგრამ საკმაოა წაიკითხოთ ელიზე რეკლუს „კაცი და მიწა", რომ დარწმუნდეთ, რომ ეს საშინელი რეაქციონური სოციალური იდეალია, და შეიგნოთ ის უბრალო ჭეშმარიტება, რომ, თუ რომელსამე ერს ოდესმე გაუკეთებია—რამე, მხოლოდ დამოუკიდებლობის დროს გაუკეთებია.

განვიმეორებ: მთელი ქვეყანა რომ ერთ ფედერატიულ სახელმწიფოდ გარდაქმნილიყო, დეცენტრალიზაცია მალე მოეღებოდა ბოლო და ქვეყნად საშინელი ცენტრალიზაცია გამეფდებოდა, მაშასადამე თავისუფლება აღაგვებოდა პირისაგან ქვეყანისა.

კაცობრიობის პროგრესს, წინსვლას კი შობს დამოუკიდებლობა.

ამიტომ ფედერატიული სახელმწიფოს პრინციპს ჩვენ ვუპირისპირებთ—დამოუკიდებლობის პრინციპს. და ჩვენი იდეალი - მსოფლიოს ერთ ფედერატიულ სახელმწიფოდ გადაქცევა კი არ არის, არამედ მრავალ დამოუკიდებელ სახელმწიფოდ დანაწილება.

ჩვენ გვსურს, რომ თვითეული სახელმწიფო იყოს, რაც შეიძლება, უფრო თავისუფალი და დამოუკიდებელი, რომ ის შეიძლება მეტი ინიციატივა და შემოქმედება წარმოშვას. ჩვენ გვსურს მაშასადამე, რომ თავისუფალ, დამოუკიდებელ სახელმწიფოთა შორის სუფევდეს რაც შეიძლება მეტი ცილობა, ჭიში, კონკურენცია, როგორც სამეცნიეროსა და კულტურულ ასპარეზზე, ისე პოლიტიკურ ასპარეზზე, რადგან მხოლოდ საერთაშორისო ცილობა შობს პროგრესს.

სალამი[*]

ალმოსავლეთის ყვავილნი, —
პირზე ღიმილის დენითა, —
სალამს გაძლევენ გენაცვათ,
თავანთ ჰიკჰიკა ენითა!

სალამი ტურფა დასავლეთს,
სალამი ვაჟთ და ქალებსა,
ტურფად ნაზარდნო ყვავილნო,
სულ გიკოცნიან თვალებსა!

ჩემგანიც მიიღეთ სალამი,
ნაზნო, ვარდნო და იანო,
მეორე ძუძუვ დედისა,
სამშობლო ალერსიანო

$24/_3$ 1916 წ.
ქ. ქუთაისი

შიო მღვიმელი

---

[*] ეს ლექსი შიოს უნდა წაეკითხა დღესასწაულზე, მაგრამ, რადგან მგოსნის გრძნობიარე გული მეტის მეტი სიხარულით აივსო, ვერ შესძლო წაკითხვა. **რედ.**

ობქელილება და აღფრთოვანება გამო- ბავშვების შიოსადმი მისალმებამ. ილებით შემდეგ.

ქუთაისის ქალთა საზოგადოების გა- ა იწვევს თავის წევრებს, რომ სა- ლო კრება, რომელმაც უნდა აირჩიოს წარმომადგენელი თბილისის კულტუ- საზოგადოებათა კავშირის კრებაზე წრებლათ, დანიშნულია ორშაბათს, რტს, შავი ქვის მრეწველთა საბჭოს ბაზში, საღამოს 7 საათზე.

ავ ჭირი. 24 მარტს საავადმყოფო- თიუვანეს შავი ჭირით ავადმყოფი ტი სარქისიანცი.

გუშინ, ქუთაისის უფროსმა მოხე- მა გამოსამშვიდობებელი ბანკეტი გა თავს ქუთაისის გუბერნატორად ნამ კამერ-იუნკერს პოტულოვს. ბან- დაესწრო იმერეთის ეპისკოპოსი გი- ც. ბ ნ პოტულოვი ხვალ გაემგზა- ბაქოს.

ლი გუბერნატორს მოელიან სამშა- სათვის.

ქუთაისის გუბერნატორი წინადა- ძლევს ოზურგეთის ქალაქის თვით ველობას, რადგანაც 1916 წ ქა- ხარჯთ-აღრიცხვაზე რწმუნებულნი წრებიან, ამიტომ თვითონ გამგე- შეიმუშაოს ხარჯთ—აღრიცხვა, რო ც სამოქალაქო დებულების 89 მუხ. თ, კანონიერათ იქნება ჩათვლილი.

კონსტანტინე ჯაფარიძე გვთხოვს ვაცხადოთ, რომ მას ხარაგოულის და პნის სად. შუა დაკარგვია სხვა ნივთე- ერთად მოწმობები კლასის და წლო- ბისა. მპოვნელს სთხოვს დაუბრუნოს როდ მოწმობები შემდეგი მისამართით ოქმის მაზრა. სოფელ უსახელოს, კო- ნტინე ჯაფარიძეს.

ქუთაისის მცხოვრები ზაქარია დო სთხოვს ქალაქის გამგეობას მისცეს მას საკუთარ ადგილზე კახიანაურში ნავთის აუზი.

ქუთაისის მცხოვრებს კონსტანტინე რიძეს ღამით ქურდებმა მოპარეს 8 ფუ- ვერი.

დღეს დილის $11^1/_2$ საათზე ქუთა ტაძარში გადაიხდიან გერმანელებთან ლაში გმირულათ მოკლულ პორუ ლექსანდრე (საშა) გიგაურის სულის სენებელ პანაშვიდს.

თული სასულიერო კონცერტი.

ეს, 27 მარტს 1 საათზე კლასიკურ ის დარბაზში ე. რ. ხუნდაძე გა- ავს ქართულ სასულიერო კონცერტს. ალის საქველმოქმედო მიზანიც სურველია, ქართველი საზოგადო- ომად დაესწროს. ფასები ადგილე- იწყება აბაზიდან. ბილეთები იყიდება ის შესავალში დილის 9 საათიდან. ამოშვებით დაუკრავს გიმნაზიის ორ ი.

ჟურნალ-გაზეთების კანტორა ,,იმერეთმა'' შიო მღვიმელის დღესასწაულის დღეს 25 მარტს უკვე მიიღო **იროდიონ ევდოშვილის ნაწერების კრებული** ქუთაისის და პროვინციების ხელის მომწერთათვის და სარგებლათ. პროვინციაში ხელის მომწერლებს კანტორამ მეორე დღესვე გაუგზავნა წიგნები.

ხსენებული წიგნი კანტორამ გასაყიდადაც მიიღო.

კანტორამ მიიღო აგრეთვე გასაყიდათ **შიო მღვიმელის ლექსების** ორნაირი საიუბილეო გამოცემა თბილისის და ქუთაისის თითოეული გამოცემა ხუთი შაური ღირს.

◆ დღეს, ქალაქის თეატრში დილის 12 საათზე დანიშნულია ქუთაისის სახალხო უნივერსიტეტის საზოგადოების წევრთა საზოგადო კრება განსახილველია შემდეგი საკითხები: ა) 1913 და 1914 წლ. ანგარიში სახალხო უნივერსიტეტის მოქმედებისა ბ) გამგეობისა და სარევიზიო კომისიის წევრთა არჩევა. და გ) რწმუნებულთა არჩევა კულტურულ საზოგადოებათა კავშირის კრებაზე დასასწრებლათ

◆ დღეს, 11 საათზე, ქუთაისის კლასიკურ სავაჟო გიმნაზიაში მოხდება ქუთაისის სამხედრო კომიტეტის წევრთა პირველი სხდომა სხდომაზე მიწვეულია ქალაქის მოურავი ი. მ. ჩიქოვანი.

◆ ამ მოკლე ხანში გამოვა ალმანახი „ახალი ცისკრის„ მეორე ნომერი

◆ ქუთაისის გუბერნატორის წინაშე შუამდგომლობა აღძრა, რომ დაარსონ მომხმარებელი საზოგადოება შემდეგი სოფლის მცხოვრებმა. ს. ნოქალაქევის (სენაკის მაზ.) ,,მოწადინე'' და ს ლიას (ზუგ. მაზრა) ,,ამხანაგობა''.

——

შიო ქართულ გიმნაზიაში.

შაბათს, 26 მარტს, ქართულ გიმნაზიის მოსწავლეებმა გაუმართეს დილა ძია შიოს. დილის 11 საათზე მოწაფეთა წარმომადგენლებმა ია ეკალაძის ბინიდან ეტლით წაიყვანეს შიო. შიოს სასწავლებლის ეზოშივე მხურვალე ტაშისცემით შეხვდენ მოსწავლენი. დერეფანში ყვავილები დაუფინეს წინ „სინათლის სასწავლებლის მოსწავლეებმა და ისე გაატარეს ძია შიო. მეტად ლამაზი სიტყვით მიმართა შიოს მეშვიდე კლასის მოსწავლე დ. დუნდუამ. მოწაფეებმა წაიკითხეს საკუთარი ლექსები

მშვენივრად ასრულებდენ შიოს საბავშო პიესას ოქროს „თავთავს“, უკრავდა ამავე სასწავლებლის ორკესტრი. გარდა მოწაფეებისა, დილაზე დაესწრენ მანდილოსნებიც

„სინათლის“ სასწავლებლის მოწაფეთა გუნდმა შეასრულას სიმღერები. ფრიად სასიხარულოა „სინათლის“ სასწავლებლის მოსწავლეთა ასეთი მხურვალე მონაწილეობის მიღება შიოს დილაში შიო დიდის ტაშის ცემით გამოაცილეს.

ლ—თ

შიო ქუთაისში.

ჩვენი ბავშვების ჩუმი მომღერალი საყვარელი ძია შიო 24 მარტს საღამოს მატარებლით ქუთაისს ესტუმრა.

შიოს მოსვლის დრო ქალაქში დანამდვილებით არავინ იცოდა. 24 მარტს, ნაშუადღევის 1 საათ. ჩვენმა რედაქციამ დეპეში მიიღო თბილისიდან, სადაც გვატყობინებდენ, შიო საღამოს 7 საათზე ქუთაისში იქნებაო. მიუხედავათ იმისა, რომ შიოს მოსვლის დრო არავინ იცოდა, მაინც დიდძალი საზოგადოება და მოსწავლე ახალგაზდობა შეხვდა სადგურზე. ქართული გიმნაზიის რამდენიმე მოწაფე შიოს რიონის სადგურზე დაუხვდა. მოსწავლე ახალგაზდობა დიდი სიხარულით მოელოდა იმ ბედნიერ წამს, როცა თავისი თვალით უნდა ეხილა მათი სულისა და გულის მოსაიდუმლე, მათი გონებისა და ზნეობის გამავითარებელ—გამაფაქიზებელი საყვარელი მგოსანი—ძია შიო. ბავშვებს ხელში ცოცხალი ყვავილები ეჭირათ და უსაზღვრო სიხარულით აღტყინებული გაჰყურებდენ რკინის გზის ლიანდაგს.

როცა მატარებელმა თავისი კივილით გვამცნო სადგურზე მოახლოება, ბაქანზე შეჯგუფული მოსწავლეები მთელი ბაქანის სიგრძეზე მწკრივათ გაიშალენ და თვალები მატარებლის ვაგონებს მიაპყრეს.

სადგურზე ძვირფასს მგოსანს მიეგებენ საიუბილეო კომიტეტის წარმომადგენელნი, ქალთა კომიტეტის წევრები, გაზ. „სამშობლოს“ რედაქტორი ია—ეკალაძე და ამავე გაზეთის თანამშრომელნი.

მატარებლის გაჩერებისას, შიოს ვაშას ძახილითა და ხანგრძლივი ტაშის კვრით შეხვდა დამსწრე საზოგადოება. სადგურზე შიოს მოკლე, შინაარსიანი და მეტათ მგრძნობიარე სიტყვით მიმართა ქართული გიმნაზიის მოწაფემ კ მისაბიშვილმა, რასაც კვლავ ხანგრძლივი ტაში და ვაშას ძახილი მოჰყვა. შემდეგ მოწაფეებმა, ძია შიო“ ხელში აიყვანეს და მისთვის საგანგებოთ დაქირავებულ ეტლამდე მიიყვანეს. ეტლს კვლავ გარს შემოეხვია ხალხი და ტაშს უკრავდა, შემდეგ სადგურის ქუჩის რამდენსამე მანძილზე მოწაფები ორ მწკრივათ ძალაგდენ და ეტლი ვაშასა და ტაშის კვრით გაისტუმრეს თბილისის ქუჩით. გზა-გზა ხალხი და მოწაფეები თანდათან ემატებოდენ და ისე მიაცილეს იუბილიარი „სამშობლოს“ რედაქციამდი, სადაც შიო თავის მეგობარ ია ეკალაძესთან ჩამოხტა. რედაქციასთან ხალხმა კვლავ თავი მოიყარა და შიოს ტაშს უკრავდა. მასთან ღამის პირველ საათამდე მოდიოდენ ბავშვები და სხვა ნაცნობ—მეგობრები. მეორე დღეს საიუბილეო დღესასწაულის დაწყებამდი ე. ი. დღის 1 საათამდი ბავშვები განუწყვეტლივ მიდიოდენ ძია შიოსთან და პირადათ ნახულობდენ. შიო ყველას საიუბილეოთ გამოცემულ წიგნით ასაჩუქრებდა და თავზე ხელის მოსმითა და ალერსით ისტუმრებდა. ნახულობდენ შიოს აგრეთვე მისი ნაცნობ-მეგობრები და ულოცავდენ თავის ღირსეული ნაყოფის მომკას.

(შემდეგი იქნება)

საყვარელი სტუმარი.

„რასაც დასთეს, იმას მოიმკი“.

სულისა და გულის არაჩვეულებრივ დამატკბობელ სიამოვნებას გამოსცდის ადამიანი, თუ ეს უკანასკნელი გადაგვარების გზას არ ადგია, როცა ხალხი თავის ნიჭიერ შვილს, იმ შვილს, რომელმაც ტალანტი უბრალოდ მიწაში [illegible] და მშობელი ერის კეთილდღეობას [illegible] ხმარა, როცა ხალხი, ვიმეორებ, [illegible] შვილს თავს ევლება, იუბილეს [illegible] გრძნობას უცხადებს, მადლობას [illegible] სასარგებლო შრომისათვის.

ბედნიერია და ფრიად ბედნიერი ის ადამიანი, რომელიც საზოგადოების სიყვარულს და თანაგძნობას დაიმსახურებს, ადამიანი, რომელიც პირნათლად ასრულებს თავის მოწოდება დანიშნულებას და ერთიორად უბრუნებს მშობელ ერს მას, რაც მიიღო მათგან.

სასიხარულოდ უნდა აღვნიშნო, რომ ამ გვარ ბედნიერ ერთეულებს ყოველთვის ჰქონია ადგილი მრავალტანჯულ ქართველი ერის ცხოვრებაში თვით ულმობელ ისტორიულ ქარტეხილის დროსაც ამგვარი ერთეულები გვყავდა და გვყავს ამ უკანასკნელ ბედვა მტერევის ხანაშიაც. მიუხედავათ ათასგვარი დაბრკოლებისა, ზოგიერთ მათგანს კიდეც გამოუცხადა ჩვენმა ხალხმა სიყვარულის გრძნობა გაუმართა დღესასწაული ხანგრძლივი უანგარო მოღვაწეობის აღსანიშნავად.

მიმდინარე წლის თებერვლის შუა რიცხვებში ჩვენმა ხალხმა თავის დედაქალაქში იდღესასწაულა ნიჭიერი მამულიშვილის შიო მღვიმელის, ოცდაათი წლის სალიტერატურო ასპარეზზე მოღვაწეობა

საყვარელი იუბილიარი გუშინ დასავლეთ საქართველოს დედაქალაქსაც ეწვია. არაჩვეულებრივი აღფრთოვანებით შეხვდა ქუთაისის საზოგადოება და მიზეზიც ჰქონდა აღფრთოვანებისა. ის ხედავდა ძვირფას სტუმარს შიოს, დიახ შიოს, რომელმაც თვისი უტყუარი ტალანტი ოცდაათი წლის განმავლობაში მშობელი ქვეყნის სასარგებლოდ ამუშავა

ბედნიერია დღეს ძვირფასი შიოც, რომელმაც ნახა გულწრფელი თანაგრძნობა, უმწიკვლო სიყვარული მშობელ ერში. და ღირსიცაა შიო ამ სიყვარულის... ღირსია შიო ამ თანაგრძობის!

ვის ემსახურებდა და ემსახურება დღესაც ძვირფასი იუბილიარი? რა გამხდარა მგოსნის მზრუნველობის საგნად, მის წმინდათაწმინდათ? ეს დღეს ყველასათვის ცხადია: „ცა ფირუზ ზურმუხტ ხმელეთი მხარე“ და ამ უკანასკნელის დამამშვენებელი „ყვავილები“, ყველა ქართველი ბავში.

ბავში! ეს ხომ საუკეთესო სიტყვაა; ბავში ხომ საუკეთესო საუნჯეა იმ ხალხისათვის, რომელსაც უნდა სიცოცხლე, ცხოვრება, რომელსაც ჰქონია წარსული, რომელიც ფიქრობს მომავალ კეთილდღეობაზე; ბავში!.. ეს ხომ მომავალი მოქალაქეა, ეს ხომ მომავალი მუშაკია ერის საარსებო შენობის კედლებზე...

ნეტარება იმ ხალხს, რომელსაც შეუგ-

ც შეიძლება მეტი დამოუკიდებელი მწიფო, — აი ჩვენი პოლიტიკური ცპი.

ნს ფედერალისტებს კი სურთ მთე ქვეყანა ერთს უზარმაზარ ფედერა- ლ სახელმწიფოდ გადააქციონ!

მასადამე მათი პოლიტიკური პრინ- ც ისეთივე უპირობო და უზომოა, როც არის სოციალდემოკრატიული ტიკური იდეალი.

ურესს შორის სხვადასხვაობა, მრავალ ბა და არა სრული ერთგვარობა და რობა მეორე მხრით ერთი მსოფლიოუ- ლიტიკური ცენტრი ვერ დააკმა- ლებს თვითეული ქვეყნის განსაკუთ- ლ საჭიროებათა და მოთხოვნილებათ. მნიშვნელობა აქვს ამ მხრით მაგა- ლ გეოგრაფიულ პირობათ. ჩრდილო კის შეერთებული შტატები თუ ფედერატიულ სახელმწიფოს წარ- ვენენ, უპირველესად მიტომ, რომ განსაზღვრულ ტერიტორიას გარე- ვენ. კიდევ უფრო განსაზღვრული არშემოცულია ავსტრალიის შეერთე- შტატების ტერიტორია. კანადაში არის შესაძლებელი ფრანგთა და ლელთა ქვეყნების ერთ ფედერაციად ლება, რომ ხსენებული ნახევარკუნ- ც განთვისებულ ტერიტორიას წარ- ვენს. იგივე ითქმის შვეიცარიის შე- ც.

რე მხრით მაგალითად ინდოეთის, თო აფრიკეთისა და ინგლისის ერთ ტიულ სახელმწიფოდ შედუღება ესად მიტომ არის შეუძლებელი, ამ ქვეყნებს საერთო ტერიტორია- ზურგალი და საზღვრები არ მოე- თ.

არა ნაკლები მნიშვნელობა აქვს ეროვნულ პრინციპს. ჩრდილო ამერიკის შეერთებული შტატების მცხოვრებნი ერთერად არიან შედუღებული. ვინც უნდა მივიდეს იქ, ჩრდილო ამერიკის მოქალაქედ გადიქცევა, ისეთი მიმზიდველობითი ძალა აქვს მის ახალ სამშობლოს. იგივე შეიძლება ითქვას ავსტრალიის მოქალაქეებზედაც. რომ ასეთი ეროვნული შედუღება არ მომხდარიყო, ჩრდილო ამერიკისა და ავსტრალიის შეერთებული შტატები არ იქნებოდენ, ე. ი. ვერ შეთანხმდებოდენ და ვერ შეერთდებოდენ.

გვეტყვიან: ამ პრინციპს უარყოფს ის ფაქტი, რომ შვეიცარია ოთხი ერისაგან შემდგარ კონფედერაციას წარმოადგენს, კანადა კი ორი ერისაგან შემდგარ კონფედერაციასო.

მაგრამ აქ მოქმედებს კიდევ მესამე პრინციპი: ისტორიულ-კულტურული ფაქტორის ზეგავლენა

შვეიცარიის ოთხი ერი მუდამ და ყოველთვის ერთად ცხოვრობდენ, ერთად იგერებდენ მტერს, ერთ ისტორიულ ტაფაში იწოდენ, ერთად გამოდიოდენ დიდ ისტორიულ მოძრაობათა დროს, დაახლოებული იყვნენ ერთმანეთთან მჭიდრო ეკონომიური ურთიერთობით, თანაგვარი ზნითა და ჩვეულებით და სხ. მაშასადამე მათს ერთს ფედერატიულ სახელმწიფოდ გარდაქცევას სხვათა შორის ისტორიულ კულტურული ერთობა და დაახლოებაც შველოდა.

თითქმის იგივე შეიძლება ითქვას კანადის ინგლისელებისა და ფრანგების შესახებაც.

მეორე მხრით ავსტრიის ერები, ე. ი. სლავები, გერმანელები და იტალიელები ვერ შედუღდენ ერთ პოლიტიკურ ორგანიზმად, რის გამოც ეს სახელმწიფო ეროვნული განხეთქილებისა და შფოთის სხვერპლად გამხდარა. რას უნდა მივაწეროთ ეს მოვლენა? იმას, რომ თვითეულ შემადგენელ ერს განსაკუთრებული, განთვისებული ისტორია, ხასიათი, ენა და ზნეჩვეულება მოეპოება. გერმანელი, სლავი და იტალიელი—ძლიერ განსხვავდებიან ერთმანეთისაგან ხსენებული ელემენტებითა და ამიტომ ძლიერ უჭირსთ ერთ პოლიტიკურ ჩარჩოში მოქცევა და ერთ პოლიტიკურ ორგანიზმად შედუღება იმისდა მიუხედავად, რომ მათ მიერ დასახლებული ტერიტორია არ არის დიდი და იმავე დროს განსაზღვრულს გეოგრაფიულ ერთეულს წარმოადგენს. რით დასრულდება ეს დაუსრულებელი პოლიტიკური შფოთი და დუღილი? შედუღდებიან თუ არა ისინი? შეადგენენ თუ არა ერთს პოლიტიკურ სხეულს? მოშლიან თუ არა ერთმანეთთან განუწყვეტელ შინაურ ბრძოლას, რომელიც ამდენ ენერგიას ფლანგავს უნაყოფოდ? ვინ იცის, შეიძლება ცენტრისკენ მიდრეკილმა ძალებმა აჯობონ ცენტრიდან ლტოლვილ ძალებსა და ისტორიულმა ბედმა ეს ძნელად შესარიგებელი ერებიც შეარიგოს და ერთ პოლიტიკურ ფედერაციად გადააქციოს. მაგრამ რამდენი ენერგია უნდა დაიხარჯოს ტყვილა უბრალოდ, ვიდრე ამგვარი შედუღების პროცესი დასრულდებოდეს?!

რუსეთის იმპერიის ფედერატიულ სახელმწიფოდ გადაქცევა კი, რომელიც მიზნად დაუსახავსთ ქართველ ფედერალისტებს, ყოველსავე საფუძველს მოკლებული უტოპია არის.

რუსეთის უზარმაზარსა და მრავალ ერიან სახელმწიფოებრივ ტერიტორიაზე ცენტრიდან ლტოლვილი ძალები ყოველთვის დასძლევენ ცენტრისკენ მიდრეკილ ძალებს, თუ უკანასკნელნი ალაგმული არ იქნებიან.

მაგალითად ამურის ქვეყანა გეოგრაფიულად ჩინეთთან უფრო დაახლოებულია, ვიდრე შიდა რუსეთთან და მაშასადამე მარტო ეკონომიური კავშირი რომ ქმნიდეს პოლიტიკურს, ამ ქვეყნის მცხოვრებთა პოლიტიკური მიდრეკილება ჩინეთისკენ იქნებოდა მიმართული.

განვიხილოთ აგრეთვე საახალშენო პოლიტიკა. ხსენებული ქვეყანა რუსეთის საახალშენო ტერიტორიას წარმოადგენს. რუსეთის მცხოვრებთა მოჭარბებული ნაწილი ყოველ წელს იქ ასიათასობით მიდის. რასაკვირველია, რუსეთი თავის დღეში არ დასთმობს თავის საახალშენო უფლებას მისგანვე დაპყრობილ ქვეყანაში. წარმოვიდგინოთ ერთი წუთით, რომ ამურის ქვეყანამ მოიპოვა სრული ავტონომია. წარმოვიდგინოთ აგრეთვე, რომ ეს ავტონომია წინაალუდგა რუს მოახალშენეთა სხვადასხვა უპირატესობას. სასარგებლო იქნება ეს რუსეთისათვის? რასაკვირველია, არა.

სასარგებლო იქნება თუ არა რუსეთისათვის, რომ მაგალითად ციმბირის სხვა ტომებმა, „ინოროდცებმა“, თავის სკოლებში რუსულ ენას შესაფერი ადგილი არ დაუთმონ? რასაკვირველია, არა სასარგებლო იქნება თუ არა რუსეთისათვის, რომ მაგალითად ამურის ავტონომიურმა მართებლობამ რუსეთის საერთო სამოქალაქო, სავაჭრო, საბაჟო და სისხლის სამართლის კანონები ცხოვრებაში არ გაატაროს? რასაკვირველია, არა

ამიტომ რუსეთი რომელსამე შორეულ ქვეყანას არა თუ სრულს საკანონმდებლოსა, არამედ სრულს ადმინისტრაციულ დამოუკიდებლობასაც კი ვერ მიანიჭებს.

განვიმეორებ: რუსეთის იმპერიის უზარმაზარ სახელმწიფოში იმდენად დიდია წინააღმდეგობა ცენტრსა და კიდეთა, ე. ი. ცენტრიდან ლტოლვილსა და ცენტრისკენ მიდრეკილ ძალებს, შორის, რომ ვიდრე ცენტრს ხელში ძალა ექნება, იმპერიას არაოდეს დამოუკიდებელ პოლიტიკურ ერთეულებად არ დაანაწილებს.

მეორე მხრით ცენტრი იმდენად ძლიერი და მრავალრიცხოვანია, რომ ცენტრიდან ლტოლვილი ძალების ალაგმვას ადვილად შესძლებს მართლაც ველიკოროსები. რომელნიც მთელიც იმპერიის მცხოვრებთა ნახევარს შეადგენენ და რომელთაც მჭიდროდ დასახლებული ტერიტორია მოეპოებათ, შეუდარებელი არიან იმპერიის რომელსამე სხვა ერთან. რეალურ ინტერესებს ზედ ერთვის კიდევ ისტორიული ტრადიცია ველიკოროსებმა შექმნეს ეს უზარმაზარი სახელმწიფო, ე. ი. განავრცელეს თავისი პოლიტიკური ბატონობა მსოფლიოს მთელს მეშვიდედზე ამიტომ თვითეული რუსული პარტიის პოლიტიკურ მრწამსში ცენტრალისტური მიდრეკილება არის დამარხული.

პლეხანოვი და ლენინი, ჩერნოვი და მილიუკოვი, ყველა ცენტრალისტია. და მათი ცენტრალიზმი უბრალო, ნაესხები, წამბაძველობითი და ზერელე კი არ არის, არამედ რუსის ეროვნულ ისტორიული ცხოვრების მიერ შობილი და ნაზარდია. და ვერცერთი რუსი ვერ ამოიგლეჯს გულიდან, ვერ შეელევა ამ თანშობილ გრძნობას.

ვ-ხილ წერეთელი.

(შემდეგი იქნება)

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნია თუ რა დაუფასებელი საუნჯეა ბავშვში და ამ უკანასკნელის გონებრივისა და ზნეობრივ განვითარება-აღზრდაზე ზრუნავს მთელი თავისი ძალღონით.

თუ ოდესმე საჭირო იყო ჩვენი ერისა თვის ზრუნვა ბავშვების გონებრივსა და ზნეობრივ ზრდა გაფურჩქნაზე, მით უფრო საჭიროა დღეს, როცა ქართველი ოჯახების დიდი უმრავლესობა, ჩვენში არსებული სასწავლებლები, ქუჩა, ერთი სიტყვით, მთელი ჩვენი უფერული ცხოვრება, ერეკება ქართველ ბავშს გადაგვარების ჯურღმულისაკენ.

ის ადამიანი, რომელიც მთელი თავისი არსებით ეცადინობს,—ამ საშიშარ გადაგვარებას ჯურღმულს ააშოროს ქართველი ბავში—ეს მომავლის იმედი—ეს ადამიანი, ვიმეორებ, ხალხის მოყვარეა, შეუდარებელი მამულიშვილია, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით.

ამგვარ მოამაგედ ქართველ ბავშთა მოევლინა "ძია შიო", დიახ შიო, რომელმაც თავისი უტყუარი ნიჭი ოცდა ათი წლის განმავლობაში მშობელ ქვეყანის საკეთილ დღეოთ ამუშავა

მოკლე წერილში ძნელია დასურათხატება იმ ნიჭისა, რომლის ნაყოფითა ოცდა ათი წლის განმავლობაში იკვებება პატარა ქართველის გონება

ვისაც სურს რიგიანად გაიცნოს შიო - ქართველი ბავშების „საკუთარი დიდი პოეტი"—ნუ დაიზარებს და გადაფურცლოს „ჯეჯილისა" და „ნაკადულის" ყველა ნომერი დღიდგან ამ ჟურნალების დაარსებისა, გადაიკითხოს ყველა ლექსი, რომელიც შიოს კალამს ეკუთნის და ის გაიგებს თუ ვინ არის შიო, თუ რა გაუდია მას მუდმივ ყურადღების საგნად: რა აწუხებს და რა ახარებს, რა სძულს და რას ეტრფის, რა აცინებს და რა ატირებს, რა აფიქრებს და რა ალაპარაკებს ამ დიდებულ მამულიშვილს, ამ ჩვენი ერის მოამაგეს.

ოცდა ათი წლის განმავლობაში ძია შიო სინიდისიერად ემსახურება ქართველი ბავშის გონებრივსა და ზნეობრივ განვითარება—გასპეტაკების საქმეს.. ამ წმინდა საქმისათვის შეუწირავს მას თავისი ძალა, ღონე, ნიჭი, დრო, შრომა, პირადი ბედნიერება.

ოცდა ათი წლის განმავლობაში ეს დაუღალავი მამულიშვილი უმასპინძლდება ქართველ ბავშს თავისი მკვირცხლი, ტკბილი, მკაფიო, გაფერადებული, ხორც შესხმული ენით ჩამოსხმულ მარგალიტი ლექსებით.

ოცდა ათი წლის განმავლობაში შიო, საქმეს სიყვარულით გატაცებული, ამზადებს დაუღალავად ქართველი ბავშებისათვის სულიერ საზრდოს, იმგვარ სულიერ საზრდოს, რომლის ადვილი მონელება ქართველ ბავშის გონებამ სრულიად შესძლო და შიოს ღირსებაც სწორედ ამაშია!...

ამის შემდეგ რაღა გასაკვირველია, რომ ამგვარი ადვილად შესათვისებელ სულიერ საზრდოს შემამზადებელი მგოსანი ყველაზე უფრო შეიყვაროს პატარა მკითხველმა, რაღა გასაკვირველია, თუ ქართველი ბავში „ნაკადული"-ს ან „ჯეჯილის" ახალი ნომრის მიღებისათანავე ყველა მოთხრობა—ლექსებს ძია შიოს ლექს არჩევს და კითხულობს პირველად.

დიახ, შიო ქართველი ბავშების საყვარელი მგოსანია, მათი საკუთრებაა, მათი დარაჯია.. და როგორც ამგვარი ის ქართველი ერის მოამაგეა, ამ ერის დამამშვენებელია, ამ ერის ერთი საუკეთესო შვილთაგანია. .

წრფელი გრძნობებით, სხვებთან ერთად, სალამს ვუძღვნი ძვირფას სტუმარს, საყვარელ იუბილიარს და გულახდილად ვულოცავ, რომ მოიმკო ის, რაც დასთესა ვულოცავ, რომ სიცოცხლეშივე ნახა გულწრფელი თანაგრძნობა მშობელი ერისა

ვისურვებ კიდევ დიდხანს ყოფნილიყოს ქართველი ბავშების სულიერი საზრდოს შემამზადებელ მგოსან—მოქალაქედ ..

გორგა.

სიტყვა შიოს მიმართ.

(დღესასწაულზე წარმოთქმული.)

აი, ბავშებო, თქვენი საყვარელი, თქვენი მოსაიდუმლე ძია შიო!

დღეს ის თქვენთან არის, თქვენთან ხარობს და ეძლევა ნეტარებას!

თქვენი უმანკო ტიტინი, სიცელქე, სიმღერა და ჟღურტული ცოცხალ ქვლათ ებვევა მის ბედისგან დაჩაგრულს არსებას და უტკბობს მგრძნობიარე გულს.

თქვენ, პატარებო, გიყვარსთ ბიძიკო შიო; ნაზის ღიმილით შეჰყურებთ მას, მაგრამ იმასაც ხომ ძაან უყვარხართ და მზათ არის თქვენს უანგარო, წმინდა სიყვარულს ანაცვალოს თავის სიცოცხლე ..

ამიტომაც არის, რომ დღეს მის გარშემო შეკრებილხართ და მასთან ერთად ეძლევით საერთო მხიარულებას.

იმხიარულეთ, იმღერეთ, იკისკისეთ, პატარა ცქრიალა გოგონებო, თმა ხუჭუჭა ბიჭუნებო! დღეს თქვენი დღესასწაულია, თქვენი ზეიმია, ძია შიო თქვენთან არის.

იმხიარულე შენც, ბავშვთა მგოსანო, რომელიც ჩასწვდი მათ უმანკო გულის საიდუმლოებას და მიეც მათ სულიერი საზრდო.

ჟუჟუნა ყვავილების ცვარნამით აალამაზე მათი გულ-მკერდი და აზიარე მშვენიერების საიდუმლოებას.

ამეტყველე ცხოველები, მცენარეები, ათქმევინე მათ თავიანთი გასაჭირი და ნორჩი თაობის სულში ღრმათ ჩანერგე მათდამი სიბრალული.

შენ მოქარგე ბავშვების მგრძნობიარე გულის წვერზე სიტყვა სიკეთე.

შენ ჩაუსახე გულის სიღრმეში ცუგრუმელა ცელქ ბავშვებს ჭეშმარიტება და შემოსე იგინი ანგელოსთა თეთრი ფრთებით, რომ არ შეეხოს ჩვენი ცხოვრების ბინძური ხელი.

შენმა ბავშვებისადმი თავდადებულმა სიყვარულმა—სიყვარული შვა.

ხედავ, მგოსანო, როგორ ნაზათ გესალმებიან, ღიმილითა და ცქრიალით შეგიცქერიან?!

შენს ნახვას ნატრობდენ და აუსრულდათ.

ნურც შენ მოაკლებ მათ სათუთ ყურს ციურ ჰანგებს, კვლავ უმღერე შენებურათ პატარა გოგონებს, ცელქ ბიჭუნებს. ათს სულსა და გულში ღრმათ ჩანერგე სამშობლოს, დედა ენისა და მოძმის სიყვარული...

აი, შენისთანა მასწავლებელია საჭირო; თორემ ოფიციალურს ქურქში გახვეული, გაჩინოვნიკებული მასწავლებელი ვერ ზრდის ნამდვილ მამულიშვილებს, ვერ უნერგავს ბავშვებს სამშობლოს სიყვარულს, გადაგვარების გზისკენ უთითებს და თავიდანვე ჰკლავს ბავშვის სპეტაკ ტუჩზე ტკბილს დედა-ენას.

მხოლოდ შენისთანა ადამიანებს შეუძლია ბავშვის სწორს გზაზე დაყენება, ეროვნულ ნიადაგზე გაფურჩქვნა.

მხოლოდ შენისთანა ციურს ჰანგებს შეუძლია მისცეს ბავშვებს სალი სულიერი საზრდო.

ბავშვებიც გრძნობენ ამას და დიდის სიყვარულით გეკიდებიან, ხომ ხედავ დღეს ყველანი აქ არიან შენი ქუთაისელი პატარა მეგობრები.

პატარა ნუცა, თამრო, ტასო... ყველანი აქ არიან.

ცელქ ვანოს შენთვის ყვავილები მოუტანია, მწყემსი გიგლა შორის სოფლიდან დახეული ქალამნებით ჩამოსულა, თანაც კლდე ღრეებში დაკრეფილი ნაირნაირი ყვავილები მოუტანია შენს შესამკობათ.

არ არის მხოლოდ შენი საყვარელი მარტოდ, მარტო დარჩენილი ობოლი, რომელიც დახეული ხალათით ფეხშიშველა ზის კერიის პირათ და მწარეთ ქვითინებს, ქვითინებს უდროოვოთ დაკარგულ დედას. მას არავინ ჰყავს მანუგეშებელი, ის მარტოდ-მარტოა. დედას ვეღარ ხედავს. მხოლოდ სიზმარში იხილავს ხოლმე დედის ნათელ სახეს და პატარაც ხელს სტაცებს, ეკვრის დედის ტკბილს ძუძუებს, მაგრათ კოცნის, ეტიტინება. მაგრამ ეს ხომ სიზმარია გაქრება სიზმარი და ობოლი ისევ მარტოდ-მარტო რჩება. ტირის, სევდა იცავს მის არსებას.

მითხარი, ბავშვთა მოსიყვარულე მგოსანო, ვის შეუძლია მისი ნუგეში?

ვის შეუძლია მოგვაროს მის ტუჩებს ღიმილი?!

ისევ შენ, შენ უნდა ანუგეშო ბავშთა მესაიდუმლევ! შენ უნდა უპატრონო!.. ნუ მოაკლებ პატარა ობოლს პატრონობას; მიეც იმედი, ანუგეშე საბრალო ბალღი; მოგვარე მწუხარე სახეზე ღიმილი, რომ იდრევე არ ჩაეშხამოს ბავშობის მხიარული დღენი.

შეაყვარე ეს უპატრონო ბავშვი მის პატარა ძმიებს, და დებს. დეე, მათაც პაწაწინა ხელები გაუწოდონ და ძმურ ნუგეშს ნუ მოაკლებენ.

გაირგი ნაირაძე.

მისაბაძი მაგალითი.

(სახალხო სკოლის მასწავლებელთა საყურადღებოთ).

ამ წლის 14 მარტს, სოფელ ღვერკის (შორაპ. მაზრა) ორკლასიან სამეურნეო სკოლაში გაკვეთილებს დავესწარი.

სხვათა შორის, ამ სკოლის მასწავლებელმა ბენედიქტე ხარატიშვილმა შემდეგი სასიამოვნო ამბავი მითხრა:

მას ხსენებულ სკოლაში მოწაფეთა შორის კოოპერატივი გაუხსნია

ეს აზრი პირველად ხარატიშვილს დაბადებია და კიდეც აუსრულებია

მასწავლებლის აზრი მოწაფეებს სიამოვნებით მიუღიათ, აურჩევიათ თავიანთ შორის გამგეობა; შეუკრებიათ საწევრო ფული თითო კაპიკი, ხოლო საპაიო—შაური და მუშაობას შესდგომიან

შეგროვილი ფულით უყიდიათ: რვეულები, კალმები, კალმის-ტარები და მელანი.

ნივთები ყველა საუკეთესო ღირსების ყოფილა და როცა პროვინციელი ვაჭრები ცუდი ღირსების რვეულს ორ შაურად ასაღებდენ, მოწაფეთა კოოპერატიულ ამხანაგობას 6 კაპიკათ გაუყიდნია.

მიუხედავათ ამისა, მოწაფეთა ამხანაგობის წინანდელი თანხა 5 მან. და 16 კაპიკი სამ თვეში 14 მანეთად გადაქცეულა.

მოწაფეთა ამხანაგობას უკვე განზრახვაც ჰქონია საპაიო ფულის აბაზამდი გადიდებისა, რათა საშუალება მიეცესთ სახელმძღვანელო წიგნებიც იყიდონ

სწორედ, რომ ძვირფასი და წასაბაძი მაგალითია სოფლის მოწაფეთათვის—ამ სოფლის მომავალ იმედისათვის

მათთვის სასწავლებელშივე ნათელი ხდება კოოპერატივის მნიშვნელობა და პატარაობიდანვე მათში ღრმავდება შემეცნება სოლიდარობისა და შეერთებული მოქმედების მნიშვნელობა წარმოიდგინეთ, ზემოხსენებულ სასწავლებლის მოწაფენი ისე არიან ამ საქმეში განვითარებულ დახელოვნებულნი, რომ სულ მალე შეუძლიათ დიდის გამოცდილებით ფართო კოოპერატიულ დაწესებულებებში მუშაობა.

ეს პირველი მაგალითია, რომ სკოლაში კოოპერატივი ყოფილიყოს და დიდი მადლობის ღირსია მასწავლებელი ბ. ხარატიშვილი და მისი ხელის მომწყობი ამავე სკოლის მასწავლებელი ქალი ნინო გაჩეჩილაძის ასული.

საჭიროა ყველა სოფლის მასწავლებელი გამოეხმაუროს ამ მოვლენას და თავის სკოლებში კოოპერატიული ამხანაგობა დაარსონ.

მაშ გამოეხმაურეთ სოფლის მასწავლებელნო!

,,თქვენ უნდა შექმნათ თქვენი მყობადი თქვენ უნდა მისცეთ მომავალი ბალღს''.

და აჰა ესეც გზა მომავლისა!

სამ. წ—ვ—დი.

მცირე შენიშვნა.

კარგი ხანია მას შემდეგ, რაც თეთრხიდ გაღმა უბანში მცხოვრებნი საფოსტო სატელეგრაფო სამმართველოს წინაშე შუამდგომლობდენ, რომ ამ უბანში სამმართველოს გაეხსნა საფოსტო სატელეგრაფო განყოფილება, რადგან ხსენებული უბნის მცხოვრებნი ძალზე დაშორებული არიან ქალაქის ცენტრალურ ფოსტა ტელეგრაფს და ყოველ საჭიროების დროს იქ სიარული მეტად უძნელდებათ. საფოსტო სატელეგრაფო მართველობამ თეთრ ხიდის გაღმა უბანში საფოსტო-სატელეგრაფო განყოფილების გასახსნელ თანხად ქალაქის გამგეობას მოსთხოვა 600 მანეთი, რაიც ქალაქმა დაუყონებლივ გაიღო.

ეს იყო გასულ წელს და მას შემდეგ აგერ წელიწადი სრულდება და საქმე კი არავის დაუწყია.

საჭიროა ამ გარემოებას სათანადო ყურადღება მიექცეს ვისგანაც ჯერ არს, რომ თუ თვით საფოსტო სატელეგრაფო მთავრობა არ კისრულობს განყოფილების გახსნას, მაშინ ქალაქის ფულით მაინც გაიხსნას, რადგან ეს მეტად საჭირო განაპირა მოწყვეტილ უბნის მცხოვრებთათვის.

ტ.

დეპეშები.

(პეტ. დეპ. სააგენტოსაგან)

საფრანგეთის ასპარეზი

პარიზი. 24 მარტი. ოფიციალი ორგანებში ჩვენ ვოკუასთან ნაღმი ავაფეთქეთ. ღუომონთან ხელჩართული ბრძოლა გაიმართა ბრძოლით ჩვენ 500 მეტრის მანძილზე წინ წავიწიეთ. ლოტარინგიაში ლიუნევილის აღმოსავლეთით საარტილერიო ბრძოლა ხდებოდა ვერდენთან ბრძოლის დროს ჩვენმა მფრინავებმა გერმანიის 31 მფრინავი აპარატი ჩამოაგდო.

სხვადასხვა ამბავი.

რუსეთი

პეტროგრადი. გარდაიცვალა ცნობილი დამსახურებული პროფესორი, რუსეთის კანონ-მდებლობათა ისტორიკოსი და საზოგადო მოღვაწე ვლადიმერ სკიბუდანოვი.

სახელმწიფოს საბჭოს წევრი გრაფი ალ. ბობრინსკი დაინიშნა შინაგან საქმეთა მინისტრის ამხანაგათ.

გერმანელ ავსტრიელთა მიწათმფლობელობის ლიკვიდაციის შესახებ მოწვეულ თათბირის თავმჯდომარეთ დანიშნეს ლ. ტრეპოვი.

უმაღლესი ბრძანებით ჯარში მყოფი მთავარ ინტენდანტის თანაშემწე გენერალ-ლეიტენანტი ბოგატკო დაინიშნა მთავარ ინტენდანტად სამხედრო სამინისტროში

უცხოეთი

კოპენჰაგენი. ბერლინიდან ცნობაა-იმპერიის კანცლერმა თავის სიტყვაში აღნიშნა გერმანიის აწინდელი მდგომარეობა ფინანსიური კრიზისა და განაცხადა, საჭიროა ფიცხელი ზომის მიღებაო.

პროვინციის ცხოვრება.

დ. ხარაგაული. კვირას, 20 მარტს, ადგილობრივ ორკლასიან სკოლის დარბაზში, ახალგაზრდა ლექტორმა გ. მ. ხაინდრავამ წაიკითხა სახალხო ლექცია თანამედროვე ომზე. ლექციას ხალხი ბლომად დაესწრო რაც აიხსნება იმით, რომ საზოგადოება დაინტერესდა ამ ლექციის შინაარსით და ამასთანავე ადგილობრივმა ინტელიგენციამ და ადმინისტრაციამ შესაფერი დახმარება აღმოუჩინა ლექტორს, რისთვისაც ისინი მადლობის ღირსნი არიან უნდა ითქვას, რომ ბ. ხაინდრავას ლექცია შინაარსიანი და მეტად საყურადღებო აღმოჩნდა

პირველ ნაწილში ავტორმა მდაბიო, ყველასათვის გასაგებ ენით დაგვიხატა თუ რამ გამოიწვია დღევანდელი დიდი ომი და როგორია მისი ხასიათი, თუ რა მნიშვნელობა ჰქონდა ევროპის სხვადასხვ [illegible] გვიანობამდე პოლიტიკას ამ [illegible] მრეწველობა სახელმწიფოთა [illegible] მათი სხვადასხვა [illegible] რესურსის საგარეო [illegible] წიაღებთან და რა ხელშეკრულებები აქვს [illegible] დადებული მათთან. მომდევნოს [illegible] თავისი შინაარსით ლექციის მეორე ნაწილ [illegible] აქ ლექტორმა ილაპარაკა მომავალ ზავზე, [illegible] მშვენივრადაც ახსნა თუ რას ნიშნავს ზავი [illegible] როგორი ზავია დაახლოვებით მოსალოდნელ [illegible] რა არის ზავის უპირველესი საშუალ [illegible] კითხვები და რას უნდა სცდილობდეს იგი.

დასასრულ ავტორი შეეხო ჩვენი ქვეყ [illegible] შორ-ვარაში. აღწერა, თუ რა მდგომარეობა [illegible] დღეს ჩვენი ქვეყნის ქონებრივი კეთილდღე [illegible] ბა, რა აბრკოლებს ჩვენში მეურნეობის [illegible] პას და რა განსხვავებაა ჩვენსა და ევრო [illegible] პატარა ერთა შორის. საზოგადოებაზე ლ [illegible] ციის ამ ნაწილმა უფრო სასურველი შთაბ [illegible] დილება დასტოვა ლექტორი მხურვალე [illegible] მას ცემით დააჯილდოვეს

სასურველია, ასეთი შინაარსის ლექცი [illegible] ხშირად იკითხებოდეს პროვინციებში

მეთვალყურ

წერილი რედაქციის მიმართ.

ბ-ნო რედაქტორო!

უმორჩილესად გთხოვთ თქვენი გაზე [illegible] „სამშობლოს" საშუალებით დიდი მად [illegible] გამოვუცხადოთ იმ პირთ, რომელთაც კეთ [illegible] ანებეს და შემოსწირეს ფულად საღვ [illegible] რულის პირდაპირ მდინარე ჩხერიმელაზე [illegible] დის ფონდის გასაძლიერებლად.

აქვე გარდგცემთ შემომწირველთა სია:

ვასო მთიაშვილმა (თბილისელი) შემო [illegible] რა 10 მ., სიკო მანჯავიძემ—10 მ., [illegible] რ ალავიძემ—10 მ., ვანო ალავიძემ—10 [illegible] იაკინთე წერეთელმა, ისიდორე მანჯავიძ [illegible] არტემ ალავიძემ, რასონ ალავიძემ, ნ [illegible] ალავიძემ, ლასო ნიორაძემ (ევრო [illegible] ხუთ ხუთი მანეთი, ტარასი ჭკუასელმა -1 [illegible] სიმონ ალავიძემ—3 მ., ალექსანდრე ა [illegible] ძემ—3 მ., იასონ თეროშიძემ—3 [illegible] მაკდან ჯიბო მაჭავარიანის ასულმა—2 [illegible] კოლა წერეთელმა—1 მ. და სერგო გე [illegible] ვილმა—1 მ.

იმედია გულშემატკივარი ამა მნიშვნელ [illegible] საქმისა, მიბაძავს ამ პირებს და აღმოგ [illegible] დახმარებას.

კომიტეტის წევრი ტრიფონ ნიორაძე.

რედაქტორი **ი. ცინცაძე.**
გამომცემელი ამხანაგობა **„სამშობლ**

ძმათა ყორყოლაძეების მაღაზიაში

(ქუთაისი, მიხეილის ქუჩა, საკუთარი სახლი)

—მიღებულია დიდძალი—

საპნის გასაკეთებელი სოდა

აქვე იყიდება ყოველგვარი ბაკალიური საქონელი. ფასები ყველაზე ზომიერია როგორც წვრილათ, აგრეთვე ნარდათ.

სიფილისი.

ყოველ მის სტადიაზე წარმატებით რჩება განკურნებულ ფრანგულ ექ **დე-ვეზის პრეპარატის** საშუალებით.

სიფილისის მოსარჩენათ ხმარებულ საშუალებას უმნიშვნელო მოქმედებას იმ დასკვნამდი მიჰყავს ავათმყოფნი, რომ წამლობას თავს ანებებენ და ამით თავს თავს მწვავე შედეგების საფრთხეში აგდებენ: სიფილისის ბაცილები, მძლავრდებიან რა ავათმყოფის სხეულში, მსამკენ მთელს ორგანიზმს საშიშარი შხამით, რომელიც იწვევს პროგრესიულ სიდამბლეს, სხეულის სრულიად დაშლას. მხოლოდ რადიკალური და ენერგიული წამლობა სიფილისის წინააღმდეგ აიცილებს ავათმყოფს სიკვდილისაგან.

პრეპარატი ექ. დე ვეზისა ცნობილია ექიმებისაგან შეუდარებელ საშუალებათ სიფილისის წინააღმდეგ მინაურულათ წამლობის დროს.

პრეპარატი ექ დე ვეზისა სრულებით სპობს სიფილისის ბაცილებს და სწმენდს შხამისაგან სხეულის ყველა ნაწილს.

პრეპარატი ექ. დე-ვეზისა სპობს მეწყვებს, ჩირქის დენას გემსა და შხამს რომელიც სიფილისისაგან არის გამოწვეული, სპობს თავის ტკივილს, ფეხების ავათმყოფობას, ზურგისას, ძვლებისას, მუხსახრების, მხედველობისა და სმენის სახსრებს.

პრეპარატი ექ. დე ვეზისა დიდ სამსახურს უწევს ავათმყოფს და აშორებს მას ხორხოლის და მთელი ორგანიზმის პროგრესიულ სიდამბლეს

ხიფარშიშის თავიდან ასაცდენათ **პრეპარატი** ექ. დე-ვეზისა იყიდება ქ. ქუთაისში მხოლოდ „პრაკტიკულ მედიცინის ლაბორატორიის" განყოფილებაში ქუთაისში **ა. ნ. შავერზაშვილის** სააფთიაქო მაღაზიაში, გიმნაზიის ქუჩ. თეატრის პირდაპირ.

ფასი ერთი კოლოფის 5 მანეთი, წამლობის მთელი კურსისათვის საჭიროა 3—5 კოლოფი.

9 **პოპულიარული ბროშურა იგზავნება უფასოთ.** (წლიური)

მიწრაფლმბეჭდავი სტამბა ალ. კობრეიძისა — ქუთაისში.
ნებადართულია სამხედრო ცენზურისაგან.